I. ფაკულტეტის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება

II. პროგრამის დასახელება: ეკონომიკა/Economics

III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:აკადემიური

V. სწავლების ენა:ქართული

VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი/Bachelor of Economics; კოდი 0311

VII. პროგრამის მოცულობა: 240 ECTS კრედიტი

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კუსები **- 28 კრედიტი;**

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსბი - **142 კრედიტი;**

საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი/სპეციალობის არჩევითი საგანი - **10 კრედიტი;**

60 კრედიტი, რომლის ათვისებაც სტუდენტს შეეძლება შემდეგი ვარიანტებიდან ერთ-ერთის არჩევით:

1. უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი აკრედიტებული MINOR პროგრამა **(60 კრედიტი);**

2. თავისუფალი/არჩევითი კურსები **- 60 კრედიტი.**

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება, ისწავლოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე. პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნად აბარებენ მათემატიკას, ისტორიას, გეოგრაფიას და ლიტერატურას.

ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აუცილებელი წინაპირობაა აბიტურიენტმა უნივერსიტეტში სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს თავის მშობლიურ ენაზე უნარების ტესტს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის B_2 დონეზე ცოდნას.

პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B_{1+}/B_2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეები წარმოადგენენ სერტიფიკატს ქართული ენის შესაბამის დონეზე ფლობის შესახებ, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში. სერტიფიკატის აღება უცხო ქვეყნისმოქალაქეებს შეუძლიათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში უცხოელთათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში.

პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა აქვთ ასევე საქართველოს და უცხო ქვეყნის აკრედიტებულიუმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებს. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში–უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

IX. პროგრამის ხელმძღვანელები:

პროფესორი როინ თათეშვილი, ასოც. პროფესორი ნანა ჯღარკავა.

X. პროგრამის აკრედიტაცია: 2019 წლის 11 ოქტომბრის №186; **(აკრედიტაციის ვადა 10.10.2026 წ.)**

XI. პროგრამის მიზანი:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

1. ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონეკონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება. რომელსაც აქვს ეკონომიკაში ინტეგრირებული, ფართო თეორიული ცოდნა.
2. უზრუნველყოს დამოუკიდებელი აზროვნების, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის, ზეპირი და წერითი კომუნიკაციისუნარების გამომუშავება, რაც აუცილებელია პროფესიული კარიერისათვის.
3. ხელი შეუწყოსინფორმაციის ანალიზის, სინთეზისადაშეფასების, აგრეთვე ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას.
4. ეკონომიკის სფეროს შესწავლით წვლილი შეიტანოს ეკონომიკის დარგისა და ზოგადად, საზოგადოების განვითარებაში

XII. სწავლის შედეგი:

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტს შეუძლია:

1. ფილოსოფიური აზროვნებისა და ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმართულებების მეცნიერული სისტემების განხილვა და შედარება.
2. ეკონომიკაში გამოყენებული ძირითადი ცნებების, ეკონომიკის ძირითადი პრინციპების, მიკრო და მაკროეკონომიკური თეორიების, კონცეფციების, მეთოდებისა და მოდელებისგამოყენება.
3. ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და შეძენილი დარგობრივი ცოდნის გამოყენებით ეკონომიკური პროცესების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზი და შეფასება, მიღებული შედეგების შეჯერება და სინთეზი.
4. ეკონომიკაში მათემატიკური, რაოდენობრივი, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით ეკონომიკური ამოცანების პარამეტრების გაანგარიშება და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება.
5. საფინანსო, სააღრიცხვო, მენეჯერული და მარკეტინგული ინფორმაციების გაანალიზებადა გამოყენება ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად.
6. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ტენდენციების, კანონზომიერებების და თავისებურებების, მასში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის ანალიზი და სფეროში გარკვევა.
7. ადამიანური რესურსების მართვის სფეროში პრიორიტეტული მიზნების განსაზღვრა და თეორიის თანამედროვე მიღწევათა ეფექტიანად გამოყენება, კომპანიასთან დაკავშირებული სამეწარმეო და შრომითი კანონმდებლობის ანალიზი.
8. ეკონომიკის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკის საკითხებზე წერილობითი ანგარიშის მომზადება და წარდგენა, საქმიანი კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და ავტონომიურობის დემონსტრირება.

სწავლისშედეგები	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები				სამიზნენიშნულები/ სტუდენტთა რაოდენობა საერთო რაოდენობის წილთან მიმართებით
	პირდაპირი		არაპირდაპირი		
	მეთოდი	დრო	მეთოდი	დრო	
1. ფილოსოფიური აზროვნებისა და ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმართულებების მეცნიერული სისტემების განხილვა და შედარება	კრებსითი გამოცდა	მე-4 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლები ს გამოკითხვა	პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	**A-10%** **B-25%** **C-30%** **D-24%** **E-10%.** **F – 1 %.**
2. ეკონომიკაში გამოყენებული ძირითადი ცნებების, ეკონომიკის ძირითადი პრინციპების, მიკრო და მაკროეკონომიკური თეორიების, კონცეფციების, მეთოდებისა და მოდელებისგამოყენება	კრებსითი გამოცდა	მე-6 სემესტრის ბოლოს	კურსდამთავრებ ულთა გამოკითხვა; დამსაქმებლები ს გამოკითხვა.	პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	**A-8%** **B-22%** **C-30%** **D-25%** **E-14%.** **F – 1 %.**
3. ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და შეძენილი დარგობრივი ცოდნის გამოყენებით ეკონომიკურიპროცესების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზიდაშეფასება, მიღებული შედეგების შეჯერება და სინთეზი	კრებსითი გამოცდა	მე-8 სემესტრის ბოლოს	კურსდამთავრებ ულთა გამოკითხვა დამსაქმებლები ს გამოკითხვა		**A-10%** **B-25%** **C-30%** **D-24%** **E-10%.** **F – 1 %.**
4. ეკონომიკაში მათემატიკური, რაოდენობრივი, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით ეკონომიკური ამოცანების პარამეტრების გაანგარიშება და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება	კრებსითი გამოცდა	მე-6 სემესტრის ბოლოს	კურსდამთავრებ ულთა გამოკითხვა დამსაქმებლები ს გამოკითხვა		**A-10%** **B-25%** **C-30%** **D-24%** **E-10%.** **F – 1 %.**
5. საფინანსო, სააღრიცხვო, მენეჯერული და მარკეტინგული ინფორმაციების გაანალიზება და გამოყენება ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად	კრებსითი გამოცდა	მე-7 სემესტრის ბოლოს	კურსდამთავრებ ულთა გამოკითხვა დამსაქმებლები ს გამოკითხვა		**A-10%** **B-25%** **C-30%** **D-24%** **E-10%.** **F – 1 %.**
6. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ტენდენციების, კანონზომიერებების და თავისებურებების, მასში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის ანალიზი და სფეროში გარკვევა	რეფერატი	მე-8 სემესტრის ბოლოს	პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება;	პერიოდულად მუშაობის დაწყების პირველივე წლიდან	**10ქულა - 9%** **9ქულა 23%** **8 ქულა -24%** **7 ქულა -24%** **6 ქულა -9%.** **5 ქულა – 10%.** **0-4 ქულა 1 %**

7. ადამიანური რესურსების მართვის სფეროში პრიორიტეტულიმიზნებისგანსაზღვრადა თეორიის თანამედროვე მიღწევათა ეფექტიანად გამოყენება, კომპანიასთან დაკავშირებული სამეწარმეო და შრომითი კანონმდებლობის ანალიზი	კრებსითი გამოცდა	მე-6 სემესტრის ბოლოს	კურსდამთავრებულთა გამოკითხვა დამსაქმებლების გამოკითხვა		**A-10%** **B-25%** **C-30%** **D-24%** **E-10%.** **F – 1 %.**
8. ეკონომიკის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკის საკითხებზე წერილობითი ანგარიშის მომზადება და წარდგენა,საქმიანი კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და ავტონომიურობის დემონსტრირება	საბაკალავრო ნაშრომი/ან რეფერატი	მე-8 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლების გამოკითხვა საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელების გამოკითხვა;		(საბაკალაცვრო ნაშრომი ფასდება ინსტრუქციის შესაბამისად).

XVI . დასაქმების სფერო:

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ეკონომისტად სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურებში. კერძოდ, კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი დასაკუთრების ფორმის საწარმოები და ორგანიზაციები;

ეკონომიკური პროფილის სამინისტროები და უწყებები;

საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი წარმომადგენლობები საქართველოში;

ბანკები და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები.

სტუდენტის შეფასება

- სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3) და უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.
- კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
- სტუდენტთა შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით:
- ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
- ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- გ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება დადებითია, თუ ნაშრომის შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- შეფასების სისტემით დასაშვებია
- ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- სასწავლო კომპონენტში უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (საბაკალავრო ნაშრომის განმეორებით მომზადება იმავე ან მომდევნო სემესტრში). დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.
- სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
- საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
- შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვერდრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60 %-ს. სასწავლო კურსის პედაგოგი უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი უნდა შეადგენდეს 51 ქულას.
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დაძლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები. დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50%, განმეორებით აბარებს დასკვნით გამოცდას. ხოლო, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლებ შეფასებას მიიღებს და სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 40% დანაკლები, საბოლოო შეფასებად უფორმდება F-0. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50% მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 შეფასება და სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად ან შერეული სახით.
- სტუდენტთა აკადემიური დავალიანების დასაფარავად სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ 60 კრედიტის ზევით დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს 15 კრედიტი.

- სტუდენტის მიერ დამატებითი სალექციო კურსების მოსმენა ხორციელდება ძირითად ჯგუფებთან ერთად.
- დამატებით სალექციო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაცია ხორციელდება სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები (მაქსიმუმ ოთხი).
- სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.